



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვეინახები

ვეინახები, ვ ა ი ნ ა ხ ე ბ ი , კავკასიის უძველესი მკვიდრი (ავტოქტონური) მოსახლეობის – ჩაჩნების („ნოხჩი“) და ინგუშების („ღალიღაი“) საერთო სახელწოდება, ნიშნავს „ჩვენ ხალხს“ (ტერმინები „ჩაჩანი“ და „ინგუში“ გვიანდელია და XVIII ს-მდე არ არსებობდა). ვ-ით დასახლებულ ტერიტორიას ჩრდ-იდან ესაზღვრება სტავროპოლის მხარე, აღმ-ით – დაღესტანი, სამხრ-ით – საქართველო, დას-ით – ოსეთი. საქართველოს ჩრდ. კავკ. ხალხებთან, კერძოდ ვ-თან, ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა ამ ურთიერთობების სრულფასოვან შესწავლას აბრკოლებს საისტორიო წყაროთა სიმცირე. ქართულ-ვეინახური ურთიერთობის ერთ-ერთ უძველეს წერილობით წყაროდ უნდა ჩაითვალოს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ლეონტი მროველისეული ცნობა: „ხოლო დურძუკ, რომელი უნარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, და უნოდა სახელი თვისი დურძუკეთი“. აქ დურძუკი სწორედ ვეინახის აღმნიშვნელი ტერმინია. ლეონტი მროველის ცნობით, ფარნავაზის მეუღლე დურძუკი იყო, რაც მის შემკვიდრეს საურმაგს დიდად დაეხმარა შიდა კონფლიქტის მოგვარებაში. საურმაგმა დურძუკების ნაწილი საქართვ. მთიანეთში დაასახლა. ქართ. წყაროებში ვ-ის წინაპრები დურძუკების, ღლიღვების, ქისტების სახელებით მოიხსენიებიან (ამჟამად ქისტებს საქართვ. ტერიტ. ნაწილის – პანკისის ხეობის მოსახლეობას უწოდებენ). საქართველო ხევსურეთისა და თუშეთის მხრიდან უშუალოდ ემეზობლება ვ-ებს, რაც უძველესი დროიდანვე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მათ შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. უმთავრესი მნიშვნელობა დარიალის გასასვლელს ენიჭებოდა, ამასთანავე არსებობდა ადგილობრივი მნიშვნელობის რამდენიმე სხვა კომუნიკაციაც თუშეთის მხრიდან. ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, დურძუკეთი კახეთის მეფე კვირიკე III-ის დროს კახეთის შემადგენლობაში შედიოდა. დავით აღმაშენებლის დროიდან ვ. საქართვ. ფეოლ. მონარქიის პოლიტ. გავლენის ქვეშ მოექცნენ, ხოლო თამარ მეფის დროიდან ეს ურთიერთობები ყმადნაფიცობის პრინციპებზე იყო დაფუძნებული. საქართველო-ვ-ის

ურთიერთობას ორმხრივი საფუძველი გააჩნდა – საქართველოსთვის ვ. საგარეო და საშინაო საფრთხის წინააღმდეგ ეფექტურ დამხმარე სამხ. ძალას წარმოადგენდნენ, ამასთანავე საქართველოს ინტერესებში შედიოდა კავკასიონის უღელტეხილებზე კონტროლის დაწესება, ხოლო ვ-ს საქართველოსთან ურთიერთობის გაფართოებას ეკონ. და პოლიტ. ინტერესები კარნახობდა. ვ-ში პოლიტ. გავლენის გაძლიერების მიზნით საქართველო ქრისტიანობის ფართოდ გავრცელების პოლიტიკას ატარებდა. ამით იყო განპირობებული ქართ. ტაძრებისა და ეკლესიების მასშტაბური მშენებლობა (მაგ.: თხაბა-ერდის ქართ. ტაძარი მდ. ასას ხეობაში და სხვ.). ტაძრებზე შემორჩენილია ქართ. წარწერები, აღმოჩენილია ქართ. ხელნაწერები, რაც ამ რეგიონში საქართველოს დიდ გავლენაზე მიუთითებს. ამ დროს ვ-ში ვრცელდება ქართ. დამწერლობა. მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ შესუსტდა ქვეყნის გავლენა ჩრდ. კავკასიაზე, თუმცა გიორგი ბრწყინვალის დროს პოლიტ. გავლენა ვ-ზე ნაწილობრივ აღდგა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მონღოლთა დაპყრობებმა გამოიწვია ვ-ის სამხრ-ით, საქართველოში მიგრაციის დაწყება. XVIII-XIX სს-ში გრძელდებოდა ვ-ის საქართველოში გადმოსახლება: თავდაპირველად – ბაცბიელების, მოგვიანებით კი (პანკისის ხეობაში) – ქისტებისა. დროთა განმავლობაში მოხდა მათი კულტ. ასიმილაცია ქართ. მოსახლეობასთან.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: გასვიანი გ., გასვიანი თ., ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, თბ., 2006; ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. 1, თბ., 1968 (ავტორთა კოლექტივი: ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე); ხანგოშვილი მ., ვაინახური საგმირო ეპოსი, თბ., 2006; Анчабадзе Г., Вайнахи (чеченцы и ингуши), Тб., 2001; Маргошвили Л. Ю., Культурно-этнические взаимоотношения между Грузией и Чечен-Ингушетией в XIX-нач. XX в. (Кисты Панкиси), Тб., 1990; Шавхелишвили А. И., Из истории горцев Восточной Грузии, Тб., 1983.

ე. კობალიანი
